პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
ხუთშაბათი
9
ოქტომბერი
№ 237
(16363)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

ᲛᲐᲗ ᲗᲐᲕᲘ ᲘᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ

ᲰᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ მანგანუმის ტრესტის კალინინის სახელობის მაღაროთსამმართველოს მაღაროელები მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ.

სკკპ XXV ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრახათვის მაღაროთსამმართველოს კოლექტივმა გადაწყვიტა მისცეს ქვეყანას 50 ათასი მანეთის მანგანუმის კონცენტრატი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ამ საწარმოს მოწინავე გამამდიდრებლები არიან ასახული (მარცხნიდან): ს. ყიფშიძე, რ. ლაბაძე, და ა. პაპიძე. ა. მაჰპარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

ᲓᲘᲠᲘᲜᲨᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ თარიღის — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დაფუძნების 250-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის მონაწილენი ყველა საბჭოთა მეცნიერის სახელით უდიდეს მადლობას უძღვნიან სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობას კომუნისტურ შშენებლობაში მეცნიერებათა აკადემიისა და მთელი საბჭოთა მეცნიერების როლის დიდი შეფასებისათვის.

მეცნიერებათა აკადემიის შექმნა დიდი მოვლენა იყო ჩვენი სამშობლოს ისტორიაში. რევოლუციამდელ პერიოდშივე აკადემიამ გააერთიანა მეცნიერთა ძალები და ხელი შეუწყო კვლევითი მუშაობის განვითარებას, განათლების გავრცელებას, საზღვარგარეთელ მეცნიერებთან სამეცნიერო კონტაქტების დამყარებას. მაგრამ მეფის თვითმპყრობელობის პირობებში აკადემიის საქმიანობა ფორმოდ ვერ ვითარდებოდა.

მეცნიერების ნამდვილი აყვავებისათვის ჭეშმარიტად არნახული შესაძლებლობები შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში დიდი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ. მეცნიერული აზრის მიღწევები მშრომელი მასების კუთვნილება გახდა, საბჭოთა მეცნიერები დაადგნენ ახალი სოციალისტური საზოგადოების შშენებლობაში აქტიური მონაწილეობის გზას. შეიქმნა მეცნიერების, ტექნიკისა და პროლეტარიატის მძლავრი კავშირი, შრომისა და ცოდნის კავშირი, რაზეც დიდი ლენინი ოცნებობდა.

საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველი დღეებიდანვე ვ. ი. ლენინი მუდამ უთმობდა ყურადღებას მეცნიერებათა აკადემიას, წარმართავდა მის მოღვაწეობას იმ ყველაზე აქტუალური სამეცნიერო პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, განათლებისა და კულტურის განვითარებასთან, დიდი გულისყურით ზრუნავდა სწავლულთათვის.

დღეს, 250 წლის იუბილეს დღეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დაჯილდოება განსაკუთრებით ძვირფასია მეცნიერების ყველა მუშაკისათვის. აკადემიის დამსახურების საერთო-სახალხო აღიარება, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ყურადღება და ზრუნვა მეცნიერებს, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების ყველა თანამშრომელს დაძაბულ შემოქმედებითს შრომას, ახალ მიღწევებს თაობაზეს მეცნიერების პროგრესისათვის, საბჭოეთის დიდებისათვის.

საბჭოთა მეცნიერება ჩვენი სამშობლოს განუხრელ პროგრესთან ერთად ვითარდებოდა. მეცნიერებათა აკადემია, რომელიც თავდასაბამს ლაბორატორიათა შედარებით მცირერიცხოვან ჯგუფს ეერთიანებოდა, ახლა თანამედროვე სამეცნიერო დაწესებულებათა უდიდეს კომპლექსად გადაიქცა და ფართო საერთაშორისო აღიარება დაიმსახურა.

აკადემიის იუბილე საბჭოთა კავშირში აღინიშნება როგორც მეცნიერების მიღწევათა დათვალიერება, როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის დღესასწაული. საბჭოთა მეცნიერები ამაყობენ იმ საყოველთაო-სახალხო აღიარებით, რომელიც დაიმსახურა საბჭოთა სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში, კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში მათ მიერ შეტანილმა წვლილმა.

საბჭოთა მეცნიერები, რომლებიც პარტიის წინასწარდასახულებებს, სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებს ახორციელებენ, მთელ ხალხთან ერთად ძალღონეს არ იშურებენ კომუნისტური შშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სწავლულთ თავიანთი მოვალეობად მიიჩნიათ თავი მოუყარონ მეცნიერთა ძალებსა და მატერიალურ რესურსებს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან და პერსპექტიულ მიმართულებებზე, მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ასამაღლებლად, წარმოებასთან, პრაქტიკასთან მეცნიერების კავშირის გასაძლიერებლად.

ფუნდამენტური მეცნიერული კვლევის წარმატებული განვითარება პრინციპულად ახალ შესაძლებლობებს სახავს უმნიშვნელოვანესი პრობლემებისა — კოსმოსური სივრცის, მსოფლიო ოკეანის, დედამიწის წიაღის, უზარმაზარი ენერგეტიკული რესურსების ათვისების, ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და გამრავლების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, ახალი ნივთიერებების, მასალებისა და კონსტრუქციების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ახალი საშუალებების შექმნის, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის შემდგომი ამაღლების, მედიცინისა და ჯანმრთელობის დაცვის პროგრესის — ვადასაწყვეტად. საზოგადოებრივი განვითარების პროცესების შეცნობა გვეხმარება სრულყოფილ საწარმოო ურთიერთობა, სახალხო მეურნეობისა და კულტურული შშენებლობის მართვა.

სოციალიზმის პირობებში მეცნიერული კვლევის შედეგებს შშრომელთა საკეთილდღეოდ, მთელი საზოგადოების, თვითეული ადამიანის ინტერესებისათვის ვიყენებთ. საბჭოთა მეცნიერების მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ცოცხლის მსოფლიო სავანჭურში, ეფსახურება ჰუმანიზმისა და სოციალური პროგრესის იდეალებს.

საბჭოთა მეცნიერები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ პარტიის XXIV ყრილობაზე მიღებული შშედობის პროგრამის შესრულებას. სსრ კავშირის მეცნიერები კვლავაც აქტიურად შეუწყობენ ხელს მომავ სოციალისტური ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობას, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპების დამკვიდრებას.

მშვიდობისმოყვარული საბჭოთა საგარეო პოლიტიკის შთამბეჭდავი წარმატებები, ხალხ ქვეყნის სახალხო მეურნეობის ტემპიც და გეგმაზომიერი განვითარება, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლება, ლენინური პარტიის ბრძნული პოლიტიკა საბჭოთა კავშირში კარგ პირობებს უქმნის შემოქმედებითს, აღმშენებლობითს შრომას. ყველა სამეცნიერო დაწესებულების კოლექტივები სულითა და გულით ისწრაფვიან პარტიისა და მთავრობის ზრუნვასა და ყურადღებას ახალი წარმატებებით უპასუხონ კვლევითს მუშაობაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

პატივისა და ხალხს შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ, რომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სწავლულნი, საბჭოთა მეცნიერების ყველა მუშაკი კვლავაც მთელ თავიანთ ძალებსა და ცოდნას, მთელ თავიანთ შემოქმედებითს ენერგიას მოახმარენ სოციალისტური სამშობლოს სამსახურს, კომუნიზმის აშენებას.

8 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘᲡ მოსკოვიდან საბჭოთა კავშირში სამოგზაუროდ წავიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ერიხ ჰონეკერი.

დელეგაცია ეწვევა ულიანოვსკს, სვერდლოვსკს, ყაზანს, ნაბერეჟნიე ჩელნოს და ვოლგოგრადს.

მომმე სოციალისტური ქვეყნის დელეგაციის გასაცილებლად დედაქალაქის ქუჩებში და მოედნებზე ათასობით მოსკოველი შეიკრიბა კრემლის რეზიდენციიდან აეროდრომისაკენ მიმავალი ავტომანქანების გზაზე მოსკოველები გულთბილად ესალმებოდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევსა და ე. ჰონეკერს, ნ. ვ. პოდგორნოსა და ვ. შტოფს, ა. ნ. კოსიგინსა და ჰ. ზინდერმანს, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო სამი სახეობის შეიარაღებული ძალების — ქვეითთა, მფრინავთა და მეზღვაურთა საპატიო ყარაული. შესრულდა ორი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნები.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. ჰონეკერმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულის მწყობრს. აეროდრომზე შეკრებილი დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები მჭუხარე ტაშით მიესალმნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევსა და ე. ჰონეკერს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სხვა ხელმძღვანელ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს. პიონერებმა მათ თაიგულები მიართვეს.

საზეიმო ცერემონია დამთავრდა საპატიო ყარაულის ჩაბარით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ი. ვ. ანდროპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი თვითმფრინავის კიბესთან გულთბადად და ძმურად გამოეთხოვნენ ამხანაგებს ე. ჰონეკერს, ვ. შტოფს, ჰ. ზინდერმანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის სხვა წევრებს.

• • •

ᲘᲛᲐᲕᲔ დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია ულიანოვსკში ჩავიდა.

დელეგაციას გულთბილად შეხვდნენ ქალაქის შშრომელთა წარმომადგენლები. ძეგრფას სტუმრებს მიართვეს ყვავილთა თაიგულები. ქალაქის ქუჩები და მოედნები, სადაც ავტომანქანების კორტეჟმა გაიარა, მორთული იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ სახელმწიფო ალმებითა და მისასალმებელი ტრანსპარანტებით.

შემდეგ დელეგაცია გაეცნო ულიანოვსკს. მან ყვავილებით შეავსო ვ. ი. ლენინის — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ძეგლი, დაათვალიერა ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმი, იყო № 1 საშუალო სკოლაში, სადაც ვლადიმერ ულიანოვი სწავლობდა.

სტუმრები ეწვივნენ ლენინის მემორიალს — ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ფილიალს და დათვალიერეს მისი ექსპოზიცია.

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის მკაფიო მანიფესტაციად იქცა დელეგაციის შეხვედრა ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე გამოვიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჰ. ზინდერმანი. (საკდესი).

8 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ მოსკოვიდან საბჭოთა კავშირში სამოგზაუროდ წავიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ერიხ ჰონეკერის მეთაურობით. სურათზე: აეროდრომზე გაცილების დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ᲡᲚᲙᲙ XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ — ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ!

ᲰᲘᲐᲗᲣᲠᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ჰიათურის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს პროდუქციის წარმოების ხუთწლიანი გეგმა. წლის დამლევამდე გეგმის დამატებით აწარმოებენ 16 მილიონი მანეთის პროდუქციას. მიმდინარე წლის ცხრა თვეში უკვე შესრულებული იყო წლიური სოციალისტური ვალდებულებანი. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჰიათურის მანგანუმის ტრესტის, მასში შემავალი კალინინის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობისა და ახალი ითხვისის მაღაროთსამმართველოების, აგრეთვე ხორცის კომბინატისა და რძის კომბინატის, ჩაის ფაბრიკის, საქმრწყვომბინატის, კვარცის ქვიშის გამამდიდრებელი ჭარხნის კოლექტივებმა.

თავიანთ წარმატებებს ჰიათურელები სკკპ XXV ყრილობას უძღვნიან. (საქინფორმი).

ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲛᲐᲠᲙᲐ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების აღსანიშნავ ვახტზე დგას ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივი. ქალაქის ამ ერთ-ერთ მოწინავე საწარმოს დიდი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის მრეწველობაში. მენავთობ ე ე ბ ს წლეულს გადაწყვეტილი აქვთ ვალდებულების გადამტებით სამშობლოს მისცენ მილიონობით მანეთის პროდუქცია.

ახლახან აქაურ ნაწარმს — დიზელის სათბობს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიეკუთვნა. აღსანიშნავია, რომ ქარხნის პროდუქციის მეოთხედი ამ სათბობზე მოდის. ეს ქარხნის მეორე პროდუქციაა, რომელმაც წლეულს ასეთი უმაღლესი შეფასება დამსახურა.

გავაუმჯობესოთ ხარისხობრივი მაჩვენებლები, დავიცვათ საწარმოო მარკა, ვიშრომოთ ეკონომიურად, ახეთია მენავთობეთა შრომის დევიზი. ისინი შეჯიბრებას აჩაღებენ თბილისელ ელმავალმშენებელთა მაგალითსამებრ.

მ. გორგილაძე.

ᲓᲦᲔᲡ ᲨᲔᲡᲬᲠᲔᲑᲔᲛ

სამტრედია. „საქკომუნრემმშენის“ სარემონტო-სამშენებლო კანტორის კოლექტივმა წლევანდელი წლის გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში ახალი წარმატება მოიპოვა. სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ცხრა თვის გეგმა 15 სექტემბრისათვის შესრულა.

კანტორის კოლექტივმა ვადაზე ადრე დაამთავრა სკოლების რემონტი, ააშენა ძველი სამტრედიის მ-წლიანი და ვაზისუბნის დაწყებითი სკოლების შენობები.

სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავად ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება და ი ინისათვის ვიბრძვით, რომ ვადამდე დავამთავროთ სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების წლიური გეგმა. ეს რედაქციას აცნობა სარემონტო-სამშენებლო კანტორის უფროსმა ა. ჩიქოვანმა.

ᲛᲔᲐᲗᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

მარნეულის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის ნახევარადნილი სკამის დეტალების დამამუშავებელი კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ოთარ არეკავე ხელმძღვანელობს, მაღალ შრომითს მაჩვენებლებს აღწევს, აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს. ამ შრომითმა კოლექტივმა პირადი ხუთწლედი უკვე გაანაღდა. გეგმით 137.005 მანეთის პროდუქცია უნდა გამოეშვა, ფაქტიურად გამოშვებულია 141.500 მანეთის ნაწარმი.

ბრიგადა ერთსულოვნად გამოეხმაურა თბილისელ მეკოპეთა თაოსნობას და გადაწყვიტა ხუთწლედის დამლევამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოიყენოს, ამოქმედოს წარმოებაში არსებული ყველა რეზერვი. წლის ბოლომდე დავალების გადამეტებით 11.250 მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია გამოუშვას და მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

მეკვეჯეები ჩაებნენ სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და გადაწყვიტეს წლის პირველი კვარტალის გეგმა სკკპ XXV ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულონ.

ბ. ბანგურია.

ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲦᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

ᲡᲐᲓ ᲠᲐᲓᲔᲜᲘ ᲛᲝᲘᲙᲠᲘᲤᲐ

(8 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ)

რაიონები	ვალდებულება (ტონობით)	მოკრეფილია (ტონობით)
გურჯაანი	80.000	80.136
თელავი	45.000	42.581
ყვარელი	29.000	24.769
სიღნაღი	24.485	30.487
ახმეტა	23.000	26.307
საგარეჯო	20.000	16.614
წითელწყაროო	19.000	16.244
ლაგოდეხი	5.500	7.194
მარნეული	15.860	15.450
გარდაბანი	9.200	7.984
მცხეთა	10.000	7.566
კასპი	9.350	3.235
გოლნისი	8.725	8.418
ზესტაფონი	26.850	9.677
თერჯოლა	18.100	9.651
მაიაკოვსკი	14.300	5.175
ვანი	14.500	3.802
საჩხერე	5.450	3.173
ორჯონიკიძე	5.350	2.222
გორი	4.450	1.569
ხაშური	5.570	1.802
ჰიათურა	2.200	722
წალენჯიხა	1.285	210
სამტრედია	1.560	420
ჩხოროწყუ	1.010	302
ამბროლაური	3.000	1.029
თეთრი წყაროო	1.200	1.138
დუშეთი	1.900	751
წყალტუბო	4.200	611
ცაგერი	3.550	418
გეგეჭკორი	2.200	216
ზუგდიდი	1.670	258
სამხრეთ ოსეთი	1.020	201
ცხინვალი	910	190
წულუკიძე	660	108
ქარელი	725	141
ჩოხატაური	2.020	973
მახარაძე	500	175
აფხაზეთის ასსრ	7.920	4.831
აჭარის ასსრ	1.500	273
სულ მოკრეფილია		335.833

ᲓᲦᲔᲡ ᲨᲔᲡᲬᲠᲔᲑᲔᲛ

7 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ კრემლში ოქტომბრის რევოლუციის ორდენი გადასცა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ჰორსტ ზინდერმანს. საპატიო ჯილდო მას გადაეცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებაში დამსახურებისათვის და დაბადების მესამოცე წლისთავის გამო.

ნ. ვ. პოდგორნიმ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით გულითადად მიულოცა ჰ. ზინდერმანს და უსურვა მას ახალი დიდი წარმატებები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა კეთილდღეობისათვის, საბჭოთა კავშირის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმის საკეთილდღეო საქმიანობაში.

ჰორსტ ზინდერმანმა დიდი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საპატიო ჯილდოსათვის. მან თქვა, რომ მთელ თავის ძალებს კვლავაც მოახმარს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და ყოველმხრივი ძმური თანამშრომლობის განმტკიცების საქმეს, სოციალიზმისა და კომუნიზმის შშენებლობის საქმეს.

ჯილდოს გადაცემას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი და სხვ.

Ნ. Ვ. ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘᲛ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ Ჰ. ᲖᲘᲜᲓᲔᲠᲛᲐᲜᲡ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲬᲝᲓᲔᲒᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲒᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულებით „კიროვეცის“ ტრაქტორების შექმნასა და სერიული წარმოების აოვისებაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ და ლენინის ორდენი და ოქროს medali „ნამგალი და ურო“ გადაეცემათ საწარმოს გაერთიანება „კიროვის ქარხნის“ მუშაკებს ი. ხ. ᲐᲜᲢᲝᲜᲝᲕᲡ, ნ. ხ. ᲞᲝᲞᲝᲕᲡ, ვ. ი. ᲣᲚᲘᲑᲘᲜᲡ.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ

8 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ მოსკოვიდან საბჭოთა კავშირში სამოგზაუროდ წავიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ერიხ ჰონეკერი.

დელეგაცია ეწვევა ულიანოვსკს, სვერდლოვსკს, ყაზანს, ნაბერეჟნიე ჩელნოს და ვოლგოგრადს.

მომმე სოციალისტური ქვეყნის დელეგაციის გასაცილებლად დედაქალაქის ქუჩებში და მოედნებზე ათასობით მოსკოველი შეიკრიბა კრემლის რეზიდენციიდან აეროდრომისაკენ მიმავალი ავტომანქანების გზაზე მოსკოველები გულთბილად ესალმებოდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევსა და ე. ჰონეკერს, ნ. ვ. პოდგორნოსა და ვ. შტოფს, ა. ნ. კოსიგინსა და ჰ. ზინდერმანს, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო სამი სახეობის შეიარაღებული ძალების — ქვეითთა, მფრინავთა და მეზღვაურთა საპატიო ყარაული. შესრულდა ორი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნები.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. ჰონეკერმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულის მწყობრს. აეროდრომზე შეკრებილი დედაქალაქის შშრომელთა წარმომადგენლები მჭუხარე ტაშით მიესალმნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევსა და ე. ჰონეკერს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სხვა ხელმძღვანელ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს. პიონერებმა მათ თაიგულები მიართვეს.

საზეიმო ცერემონია დამთავრდა საპატიო ყარაულის ჩაბარით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ი. ვ. ანდროპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი თვითმფრინავის კიბესთან გულთბადად და ძმურად გამოეთხოვნენ ამხანაგებს ე. ჰონეკერს, ვ. შტოფს, ჰ. ზინდერმანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის სხვა წევრებს.

• • •

ᲘᲛᲐᲕᲔ დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია ულიანოვსკში ჩავიდა.

დელეგაციას გულთბილად შეხვდნენ ქალაქის შშრომელთა წარმომადგენლები. ძეგრფას სტუმრებს მიართვეს ყვავილთა თაიგულები. ქალაქის ქუჩები და მოედნები, სადაც ავტომანქანების კორტეჟმა გაიარა, მორთული იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ სახელმწიფო ალმებითა და მისასალმებელი ტრანსპარანტებით.

შემდეგ დელეგაცია გაეცნო ულიანოვსკს. მან ყვავილებით შეავსო ვ. ი. ლენინის — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ძეგლი, დაათვალიერა ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმი, იყო № 1 საშუალო სკოლაში, სადაც ვლადიმერ ულიანოვი სწავლობდა.

სტუმრები ეწვივნენ ლენინის მემორიალს — ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ფილიალს და დათვალიერეს მისი ექსპოზიცია.

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის მკაფიო მანიფესტაციად იქცა დელეგაციის შეხვედრა ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე გამოვიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჰ. ზინდერმანი. (საკდესი).

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲬᲝᲓᲔᲒᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲒᲐ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙ

პარტიული ცხოვრება

სრულყოფილ იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობა

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე

ახალი წარმატებებით შევხვდეთ სკკპ XXV ყრილობას! — ამ დევიზით მოქმედებს და მოღვაწეობს დღეს ყოველი პარტიული ორგანიზაცია. ამიტომ წინასაყრილობო შეჯიბრება წითელ ზოლად გასდევდა ამ დღეებში შემდგარ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმსაც.

პლენუმმა განიხილა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ხინთბას მოხსენება „აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობის შემდგომი აღმავლობისათვის". მომხსენებელი და კამათის მონაწილენი ლაპარაკობდნენ ამ საქმეში მიღწეულ ერთგვარ წარმატებებზე, ხაზს უსვამდნენ ნაკლოვანებებს, სახავდნენ მათი აღმოფხვრის გზებს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი ყურადღება დაუთმეს იმ მოთხოვნების პრაქტიკულად განხორციელებას, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის მუშაობის შესახებ".

აეტონომიური რესპუბლიკის მშრომელები მტკიცედ უჭერენ მხარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ აღებულ ლენინურ კურსს, თანმიმდევრულად მიმდინარეობს პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენა. უმჯობესდება და სრულყოფილი ხდება მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზაციაორგანული მუშაობა. თანდათანობით სწორდება ის სეროზული შეცდომები, რომლებიც დაშვებული იყო ახლო წარსულში სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში.

აფხაზეთში 11 ათასზე მეტი პროპაგანდისტი, აგიტატორი და პოლიტინფორმატორი ეწევა მუშაობას, რომლის მიზანია სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების იდეოლოგიური უზრუნველყოფა.

პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ეფექტურობა, აეტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა მაღალი შეგნებულობა შრომის კონკრეტულ შედეგებში, საგეგმო და ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის მისწრაფებაში ვლინდება.

ამაზე ნათლად მეტყველებს მეცხრე ხუთწლედის ოთხი წლის შედეგები. საერთო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმა აქ გასულ ოთხ წელიწადში შესაბამისად 104,5 და 104 პროცენტით შესრულდა. ამასთან საშრეველო წარმოების მოცულობა 30,4 პროცენტით გაიზარდა. გეგმის გადამეტებით სულ წარმოებულია 49 მილიონი მანეთის, ხოლო რეალიზებულია 53 მილიონი მანეთის პროდუქცია.

მხოლოდ სუსტი საგეგმო დისციპლინით, გეგმების შესრულების არადამაკმაყოფილებელი იდეოლოგიური უზრუნველყოფით აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩამორჩენილმა საწარმოებმა ხუთწლიანი გეგმის შესრულებას 10 მილიონი მანეთის პროდუქცია დააკლეს.

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა სამუშაოდან გაათავისუფლა სოხუმის ხორცკომბინატის დირექტორი ო. თურქია მიწდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობის დაკარგვისა და სიტყვის გატეხისათვის. ეს შემთხვევითი ამბავი როდია. პლენუმზე მკაცრად იქნა გაკრიტიკებული აფხაზეთის ასსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო, რომლის საწარმოებში ბევრია უწესრიგობა, შრომითი და საწარმოო დისციპლინის დარღვევები.

ამას წინათ პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ განიხილა საწარმატება მოპოვებულია დამთავრებული წლის 9 თვეში.

გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა. ხუთწლედის დასაწყისიდან სახელმწიფოს მიეყიდა 277 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 18,5 ათასი ტონით აღემატება ხუთწლედის დავალებას. დამზადებულია ავრეთვე 28 ათასი ტონა თამბაქოს ნედლეული, 29.874 ტონა ხორცი (ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 22.784 ტონისა), 35.264 ტონა რძე და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

გასულ წელს საბჭოთა აფხაზეთმა სახელმწიფო ბედელში მიიტანა 5,5 ათასი ტონა სიმინდი, რაც სამჯერ მეტია წინა წლის მაჩვენებელზე.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ციფრებს მიღმა სერიოზული ნაკლოვანებები იმალება. შემცირების მხრივ კორექტირების მანკიერი პრაქტიკის შედეგად მთელ რიგ დარგებში შეიქმნა განსხვავება ფაქტიურ შესრულებასა და ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შორის.

ფიცი სამშობლოს

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პირველკურსელთა საზეიმო შეხვედრა

ჩაიქროლა ბავშვობის ფერადმა, დაუვიწყარმა ხანამ და აი, ცხოვრებამ პირველი კონკურსი მოგიწყო. შენ გიამარჯვე და მოიპოვე სტუდენტის წოდება. ასახელე მშობლიური სკოლა, აღმზრდელები, გადადგი მეტად საპატიო და მნიშვნელოვანი ნაბიჯი. წინ ახალი, უფრო სანღერგესო ცხოვრება გეწყება — მიზანდასახული სწავლა და შრომა.

ამიერიდან შენ სულ სხვა თვალით შეიცნობ სამშობლოს, მის ბუნებას, მისი მიწის მადლს. მაგრამ ამისათვის, რომ უფრო ლამაზი და მომხიბლავი იყოს ჩვენი სამშობლო, უფრო წელმაგარი, მტკიცე და ძლიერი, — უფრო ბარაქიანი და ხვავიანი უნდა იყოს მისი მიწა, ეს კი გარკვეულწილად დამოკიდებულია შენზე, ვისაც ცხოვრების მთავარ მიზნად სოფლის მეურნეობის სამსახური დაგისახავს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტო.

ცოდნის საყაროში მეგზურობას გაგიწევენ ინსტიტუტის ღვაწლმოსილი პედაგოგები, პროფესორ-მასწავლებლები, რომელთაც არაერთი თაობა აღუზრდიათ და რომელთაგან მრავალი დღეს წარმატებით და უნარიანად უძღვება ჩვენს მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობას.

და ეს საზეიმო შეხვედრაც პირველკურსელებთან დასტური იყო შენდამი დიდი ყურადღებისა და მზრუნველობისა.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. გილაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ე.სეხნიაშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გელდიაშვილი, პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი ა. ჩიკვაიძე, აგრეთვე სამინისტროთა, უწყებათა ხელმძღვანელები, სხვა უმაღლეს სასწავლებელთა რექტორები, პროფესორ-მასწავლებლები, წარჩინებული სტუდენტები.

დარბაზის ეკრანზე მოჩანს კადრები, რომლებიც ასახავენ საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა საინტერესო ცხოვრებას, ყოველდღიურ საქმიანობას.

საზეიმო სხდომა გახსნა ინსტიტუტის რექტორმა ვ. მეტრეველმა. მან მიულოცა პირველკურსელებს სტუდენტის საპატიო წოდება და გამოთქვა რწმენა, რომ ახალგაზრდები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მიღონ საფუძვლიანი პროფესიული ცოდნა და სოფლის მეურნეობის წარმოების მეცნიერული მართვის პრაქტიკული გამოცდილება, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში.

მისაღები გამოცდების შედეგებზე შეკრებილთ ესაუბრა მიმღები კომისიის მდივანი დოცენტი ვ. ჭკადუა.

პირველკურსელებს გულთბილად მიესალმნენ, გზა დაულოცეს და სწავლასა და პირად ცხოვრებაში წარმატებანი უსურვეს ინსტიტუტის პროორექტორმა გ. ზვიადაძემ, პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ ჰ. გიორგაძემ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ა. ჭითანავამ, აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ, პოეტმა ი. ნონეშვილმა, სტუდენტმა მ. ბენდიაშვილმა.

ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ვ. ქარსელაძემ ილაპარაკა გასული სასწავლო წლის მიღწევებზე, რითაც კიდევ ერთი სასახელო ფურცელი ჩაიწერა ინსტიტუტის ისტორიაში, რომ ახალგაზრდობამ შრომითი გმირობა მოიპოვა, რითაც თითქოს შეეხმიანა თავის რაზმებში საპატიო წევრებად ჩარიცხული 30 წლის წინანდელი ბრძოლის ვეტერან დაკავმული „ღიმილის ბიჭების" გმირობას. სტუდენტებმა ააგეს სკოლა; სამავშო ბაღი, ფერმა, მრავალი სხვა სასოფლო-სამეურნეო ობიექტი; 350 სტუდენტი მიუჯდა ტრაქტორის, კომბაინის საჭეს. „ავიღოთ მოსავალი უდანაკარგოდ", „შეეგებთ მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზა" — აი ეს იყო ახალგაზრდების ყოველდღიური დევიზი შრომითს სემესტრში. მან ილაპარაკა აგრეთვე სტუდენტთა სპორტულ მიღწევებზე, თვითმოქმედებაზე, მოკავშირეთა ანსამბლ „გორდას" წარმატებებზე და სხვ.

დგება ყველაზე საზეიმო წუთი. პირველკურსელთა ერთი ჯგუფი იბარებს ინსტიტუტის დროშას. გაისმის ფიცის სიტყვები. „ვფიცავ ღრმად დაკვეულო მეცნიერების საფუძვლს, აქტიური მონაწილეობა მივიღო საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რათა მთელი ენერგიითა და მონდომებით ვემსახურო ჩვენი დიდი ქვეყნის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეს. სიუხვის წყაროდ ვიქცეთ შშობელი მიწის თვითეული ჰექტარი, შორს გავუთქვა სახელი ქართული მიწის ბარაქას"...

მაშ ასე, ესტაფეტა მიღებულია, ჯერი შენზეა, პირველკურსელო!

რ. მუხიგულაშვილი.

საკდესის ცნობა

მიფრინავს „კოსმოს-775"

1975 წლის 8 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-775".

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

სურათზე: აქტივის მონაწილენი ეცნობიან პატარძლის საპოლმეურნეობათშორისო მეფრინველეობის ფაბრიკის საქმიანობას. (საინფორმაციო ფოტოქრონიკა).

ქალაქი — სოფელს

დეპუტატი და ცხოვრება

ეს შეხვედრა ამ დღეებში მოხდა ქუთაისის შრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომში. ქალაქის განაშენიანების პროექტის თანახმად გორის ქუჩაზე უნდა აიგოს ახალი უნივერსალური მაღაზია და მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი. ტერიტორია საკმაოდ ვრცელია, აქ ახლა ოცდათხუთმეტამდე კერძო მებატონეთა ბინებია განლაგებული. რა თქმა უნდა, ძველია, ძალზე ძნელი უარი თქვა წლობით შეჩვეულ ადგილზე და, თუ გნებავთ, — სახლზე. მაგრამ თანამედროვე საქალაქო ცხოვრება თავისას მოითხოვს. ეს ამბავი რომ შეტყეს, საქალაქო საბჭოს აღმასკომში მოვიდნენ გორის, ლენინაკანისა და ჩიანელის ქუჩებზე მცხოვრები მოქალაქეები: ნ. ბაბუნაშვილი, ე. ხელაძე, დ. ქაჯაია, გ. კვანტალიანი, თ. კაპანაძე, მ. მანგაძე, ვ. კვანტალიანი, შ. დოლაბერიძე, გ. კვანტალიანი და სხვები.

— ჩვენ მზად ვართ ნებაყოფლობით დავანგრიოთ კერძო საკუთრების სახლები, თვითეული მშრომელის ღირსების საქმეა მშობლიური ქალაქი რომ უფრო ლამაზი და მიმზიდველი გახდეს — ერთხმად განაცხადეს მათ...

ყველასათვის ცნობილია, რომ ქუთაისი ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი კოლორიტული და თავისებური ქალაქია. დასამალავი არ არის, რომ წლების მანძილზე გამეფებულმა კერძომესაკუთრულმა მისწრაფებამ, სამწუხაროდ, ქალაქის მცხოვრებთა ერთ ნაწილზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. იყო ბევრი გუთაისელი მეზობლური დავა ერთი გოჯა მიწისათვის, უნებართვო მშენებლობა, სანიტარული ნორმების დარღვევა, ზოგჯერ — მსხვერპლიც კი.

აი კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის შედეგი. ყოველივე ეს თანდათან წარსულს ბარდება. და ახლა რაოდენ სასიხარულოა, რომ მშრომელებმა ფართოდ აუბეს მხარი მშრომელთა პატრიოტულ მოძრაობას — გადააქციონ ქუთაისი სანამუშო წესრიგისა და ყოფაქცევის ქალაქად. უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად იკლო მოქალაქეთა უსაფუძვლო სარჩივრებმა, მეზობლურმა დავებმა. ამჟამად მშრომელები საქალაქო საბჭოს აღმასკომში პირადი ინტერესებიდან გამომდინარე წერილებით კი არ მიდიან, არამედ საქმიანი წინადადებებით, კრიტიკული შენიშვნებით, რომელთა მიზანია საერთო საქალაქო ცხოვრების გაუმჯობესება, ნაკლოვანებათა აღმოფხვრა.

რასაკვირველია, ყოველივე ეს კარგია, მაგრამ მშრომელთა სამართლიან მოთხოვნებს, სარჩივრებსა და წინადადებებს ყოველთვის როდი ეკიდებიან მართებულად. სამწუხაროდ, ადამიანების საჭიროებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულება ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის. სწორედ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას მიეძღვნა საქალაქო საბჭოს სესია, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

პირველყოვლისა, ინტერესს იმსახურებს სესიის მომზადების ორგანიზაცია. საქალაქო საბჭოს აღმასკომმა სესიამდე ერთი თვით ადრე საქალაქო გაზეთებში გამოაქვეყნა ცნობა, რომ მზადდება მორიგი სესია, რომელიც განიხილავს საკითხს — **ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებებსა და სამმართველოებში, ქალაქის საწარმო-დაწესებულებებში მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისა და მშრომელთა მიღების მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.** საკითხის შესასწავლად შეიქმნა კომისიები, საქალაქო საბჭოს დეპუტატებმა მოაწყეს აღმასკომის განყოფილებათა და სამმართველოების ხელმძღვანელთა შეხვედრები შრომითს კოლექტივებსა და მოსახლეობასთან. აღმინისტრაციული ორგანოების საკოორდინაციო საბჭომ, პრესის მუშაკებთან ერთად, სპეციალური სხდომა მიუძღვნა ამ საკითხს, სესიის მოამზადებაში აქტიურად მონაწილეობდა და პარტიის საქალაქო კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი.

სესიის მზადებაში მონაწილეობის შესახებ მიმართვას ათასობით მშრომელი გამოეხმაურა. გულახდილობისა და სამართლის ატმოსფეროში შეიქმნა ვითარება ადამიანებს პირადაპირ გამოეთქვათ თავიანთი შეხედულებები მიმდინარე სოციალურ პროცესებზე, ქალაქის ხვალინდელ დღეზე. ყოველივე ეს კარგად ჩანს იმ წერილებიდან, რომლებიც საქალაქო საბჭოს აღმასკომში მიიღეს სესიის მზადების პერიოდში.

საქალაქო საბჭოს სესიაზე მოხსენებელმა — საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. დვალიშვილმა და კომათში მონაწილე დეპუტატებმა სიხარულით აღნიშნეს, რომ ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები წარმატებით იბრძვიან ხუთწლედის დამამთავრებელი წლის მითს. ამ ბრძოლაში ერთ-ერთ ადგილზეა ბეტონის ქარხანა, ბრიგადა ბ. ზარეგავა, პარტბიუროს მდივანი ი. ქილბაქიანი) სოფელ ყანდაურის კოლმეურნეობის შეუსრულებს 1.000 სულ მსხვილფეხა საქონლის სასუქებელი შენობის სამშენებლო სამუშაოებს, მისცემს 90 ტონა ცემენტს, 65 კუბურ მეტრ ხე-ტყეს. კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს დიდ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს შეუსრულებენ და სამშენებლო მასალებით დაეხმარებიან „სოიუზტეპლოსტროის", № 5 ავტოსატრანსპორტო საწარმოს და სხვა კოლექტივები.

საგარეჯოელ მეცხოველეებს გარკვეულ შეფობას გაუწევს თბილისის ზოოვეტინსტიტუტი. აქტივის კრებას ინსტიტუტის გადაწყვეტილებანი გააცნო რექტორმა გ. აგლაძემ.

— მთავარ ამოცანას მეცხოველეობის თანამედროვე განვითარების საქმეში მისი კონცენტრაცია და სპეციალიზაცია წარმოადგენს, — თქვა მან — ამ საქმეში ინსტიტუტი საგარეჯოს რაიონისათვის შეიმუშავებს სპეციალურ რეკომენდაციებს. საგარეჯოს რაიონში მეცხოველეობის ჩამორჩენის მთავარ მიზეზად მან დასახელა სარწყავი და სხვა სახნავი მიწა-ნაკვეთების ნაკლები დონე. მუშაობა შემდგომში ისე უნდა მოეწყოს, რომ თვითეულმა ჰექტარმა სარწყავმა მიწამ მოგვცეს სულ ცოტა 8-10 ათასი საკვები ერთეული, ხოლო საკვები კულტურების ნათესებიდან მიღებულმა მწვანე მასამ საშუალოდ 10-12 ათასი საკვები ერთეული. ინსტიტუტი პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს რაიონს პირუტყვის სანაშენე საქმეში, მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოყვანისა და დანერგვის, მეცნიერულად დასაბუთებული კვების რაციონების შედგენისა და პირუტყვის ინ-

აღმასკომში წერილი მოვიდა

გულისხმიერად მოვეპყრათ მშრომელთა წინადადებებს, საჩივრებს, განცხადებებს

დავალებათა გადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა პირნათლად განღდებისათვის.

ცხადია, საერთო საქმის წარმატებაზე მნიშვნელოვან გავლენას იხდენს ადამიანთა განწყობა. სწორედ ამიტომ საქალაქო საბჭოს აღმასკომში უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული უურადღება დაეთმო მშრომელთა წერილებზე, საჩივრებსა და განცხადებებზე მუშაობას. ოპერატიულ თათბირებზე სამმართველოებისა და განყოფილებათა ხელმძღვანელები მოახსენებენ აღმასკომს მშრომელთა წერილებზე მუშაობის მიმდინარეობას, აქ უკეთდება წერილის ანალიზი, არკვევენ საჩივრის მიზეზებს, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა განმეორებით განცხადებებს. მშრომელთა მიღებისა და მათი განცხადებებისადმი ყურადღების ამაღლებამ, ამ საქმეში დებუტატთა და ფუდმიეი კომისიების მიქმედების გაძლიერებამ უზრუნველყო მშრომელთა წერილების ხასიათისა და რაოდენობის შემცირების ტენდენცია.

ყოველივე ეს კარგი, მაგრამ, როგორც სესიაზე აღინიშნა, ჯერ კიდევ დიდია მშრომელთა წერილების და განცხადებების რაოდენობა. მაგალითად, მარტი 1974 წელს აღმასკომმა მიიღო 30.000 განცხადება-საჩივარი. ამას თუ დავუმატებთ იმასაც, **რომ** მიღებაზე 15.000-მდე მოქალაქე მივიდა, საკმარისია, რომ დავასკვნათ, რა დიდი პასუხისმგებლობა ენიჭება მშრომელთა წერილებსა და განცხადებებზე მუშაობას. პირობითად თუ მივიღებთ, რომ როგორც, მინიმუმი, ორ განცხადებაში დაყენებული საკითხების შესწავლას ერთი სამუშაო დღე სჭირდება, მაშინ მარტო ერთ წელიწადში შემოსულ წერილებზე 22.500 კაცდღე დიხარჯა. წერილების ანალიზი იმასაც მიუთითებს, **რომ** საქალაქო საბჭოს აღმასკომში შესული ყოველი მეოთხე განცხადება ზემდგომი ორგანოებიდან არის გამოგზავნილი. მაგალითად, კომუნალური მეურნეობის განყოფილებაში მიღებული 2031 განცხადება-საჩივრიდან უშუალოდ განყოფილებაში შევიდა მხოლოდ 40 პროცენტი, მშრომელთა წერილებსა და განცხადებებზე უფროსისეული მუშაობისათვის მკაცრად გაკრიტიკეს შრომითი რესურსების გამოყენების (ინსპექტორი გ. ჩხეიძე), სოციალური უზრუნველყოფა (ინსპექტორი ნ. ...), ... განყოფილების ... ...

მსოფლიო დღეს

მთავრდება ზოგადპოლიტიკური დისკუსია

გენერალური ასამბლეის 30-ე სესია

ნიუ-იორკი. (საკ.სესი). გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 30-ე სესიაზე დასასრულს უახლოვდება ზოგადპოლიტიკური დისკუსია.

მეჭსიკის პრეზიდენტმა ლ. ეჩევერიამ სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა განვითარებადი ქვეყნების პრობლემებს, მათ ბრძოლას პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის გამტკიცებისათვის. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამ ქვეყნების ფართო დახმარების უწყვენ სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოები.

მექსიკა, განაცხადა მან შემდეგ, მზარს უჭერს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევა.

თავის გამოსვლაში კვიპროსის პრეზიდენტმა არქიეპისკოპოსმა მაკარიოსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია დაუყოვნებლივ შესრულდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციები კვიპროსის საკითხზე და უწინარეს ყოვლისა ბატივი სცენ კვიპროსის რესპუბლიკის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობასა და მიუმხრობლობას, უსწრაფესად გაიყვანონ კუნძულის ტერიტორიიდან უცხოეთის მთელი ჯარები, შეწყვიტონ უცხოეთის ყოველგვარი ჩარევა და მიიღონ სასწრაფო ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ ყველა ლტოლვილი კვიპროსელის დაბრუნება მშობლიურ სახლებში.

კვიპროსის მთავრობა, თქვა შემდეგ არქიეპისკოპოსმა მაკარიოსმა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შედეგებს და ამ თათბირის საბოლოო აქტს, რომელშიც დაადასტურა ის ფაქტი, რომ ქვეყნებსა და ხალხებს შორის თანამშრომლობის განვითარების პრინციპების განმტკიცება დღევანდელობის მოთხოვნაა. კვიპროსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განიარაღების პრობლემას, და უწინარეს ყოვლისა გამალებული შეიარაღების შეწყვეტას.

დეკოლონიზაციის გზაზე მიღწეული წარმატებების მიუხედავად, აღნიშნა თავის გამოსვლაში ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა კომისარმა ჯ. გარბამ, იმპერიალიზმი კვლავ ყველაზე სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისათვის სამხრეთ აფრიკაში. ნიგერია, განაცხადა მან, გადაჭრით უჭერს მხარს ნამიბიისა და ზიმბაბვეს ხალხთა ეროვნულ თვითგამორკვევასა და დამოუკიდებლობას.

წინააღმდეგობა კონგრესში

ვაშინგტონი. (საკ.სესი). შეთანხმებამ სინის ნახევარკუნძულზე კგვიპტისა და ისრაელის ჯარების დაშორიშორების მეორე ეტაპის შესახებ, რაც ითვალისწინებს ისრაელისადმი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დახმარების გადიდებასა და სინის ნახევარკუნძულზე 200 ამერიკელი ტექნიკური სპეციალისტის გაგზავნას, სერიოზული წინააღმდეგობა გამოიწვია კონგრესის სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში დაწყებულ მოსმენაზე. მთელი რიგი სენატორები, აგრეთვე თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც მონაწილეობენ მოსმენაში, გამოთქვამენ შიშს, რომ ასეთმა შეთანხმებამ შეიძლება კიდევ უფრო გაამწვავოს კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში.

8 ოქტომბერი

ამბები • ფაქტები

საკ.სესი და უცხოეთის პრესის საგენტოები იტყობინებიან

ტელეტაიპის ლენტიდან

ლონდონი

ჩრდილოეთ ირლანდიაში გრძელდება ტერორი, იზრდება შსნგერალთა რიცხვი ინვალიდის ამ პროვინციის მოსახლეობას შორის. 18 კაცი დაიღუპა ოლტერში ორშაბათს, ბევრი მშვიდობიანი მოქალაქე სერიოზულად დაჭრილია.

კატმანდუ

ნეპალის პრესა მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა თვითმფრინავს „იაკ-40“, რომელიც აქ სადემონსტრაციოდ დაფრინავს. გაზეთები აღნიშნავენ თვითმფრინავის მაღალ საფრენოსნო თვისებებს, კომფორტს, მანევრულობას. განსაკუთრებით უსვამენ ხაზს „იაკ-40“ თვითმფრინავის უნარს აფრინდეს და დაჯდეს პატარა აეროდრომზე, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ნეპალისათვის, სადაც აეროდრომთა უმრავლესობას მოკლე ასაფრენ-დასაჯდომი ზოლები აქვს.

ადის-აბება

აქ გაიმართა ეთიოპიის საგგმო კომისიისათვის საბჭოთა კავშირის საჩუქრის — მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების და პოლიტიკური ეკონომიის წიგნების ბიბლიოთეკის გადაცემის ცერემონია. მიიღო რა წიგნები, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ადის ანტენეხმა მადლობა გამოთქვა ძვირფასი საჩუქრისათვის.

კოტონუ

აქ ოფიციალურად გამოცხადეს, რომ დაგომეის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საბჭრთ კორეასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ. მანამდე დაგომეისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებმა გადაწყვეტეს დამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა.

წარმატებული ფეხბურთელები

პრაღა. (საკ.სესი). გაზეთმა „რუდე პრავომ“ გამოაქვეყნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მოხსენიება საბჭოთა-სამეურნეო წარმოებისა და ეროვნული ეკონომიკის მართვის სფეროში ბოლო 15 — 20 ეკონომიკურ ექსპერიმენტებზე. ექსპერიმენტებში მონაწილეობენ 14 პროვინციის ნაცვლად. საბჭოთა-სამეურნეო წარმოების სწორფად ზრდამ, ნათქვამია მოხსენებაში, ხელი შეუწყო კვების მრეწველობაში დავალებათა გადაჭარბებით შესრულებას.

უთანხმოების ვითარებაში

ევროპის ეკონომიური გაერთიანების მინისტრების საბჭოს სესია

ლუქსემბურგი. (საკ.სესი). აქ დამთავრდა ევროპის გაერთიანებათა მინისტრების საბჭოს სესია „საერთო ბაზრის“ წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე.

სესიის მონაწილეთა შორის უთანხმოება წარმოიშვა ენერგეტიკის საკითხებზე მომავალი კონფერენციისათვის მზადებასთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ მთელმა რიგმა ნავთობის მომხმარებელმა და მწარმოებელმა ქვეყნებმა.

კონფერენციაზე, რომლის მოწყობა გათვალისწინებულია მიმდინარე წლის დეკემბერში, ევროპის ეკონომიური გაერთიანების ქვეყნების წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო ერთიანი დელეგაცია. მაგრამ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯ. კალაგენმა განაცხადა, რომ მის ქვეყანას, რომელიც პოტენციურად „ცხრეულის“ ქვეყნებიდან ნავთობის ერთადერთი დიდი მწარმოებელია, განზრახული აქვს საკუთარი დელეგაციით იყოს წარმოდგენილი კონფერენციაზე. „ფაინენშლ ტაიმსი“ დღეს ხაზს უსვამს, რომ ეს პოზიცია „ლახვარს სცემს გაერთიანების ერთიან საგარეო პოლიტიკას“.

ერთიანი დელეგაციის საკითხი გადაუჭრელი დარჩა და ევროპის ეკონომიური გაერთიანების ქვეყნები უახლოეს დროში უნდა დაუბრუნდნენ მის განხილვას.

დაეის ვითარებაში მიმდინარეობდა ავრეთვე ესპანეთთან დამოკიდებულების პრობლემის განხილვა. განსაკუთრებით გაამწვავა ოგი ფართო პროტესტებმა, რომლებიც მსოფლიოში, კერძოდ „საერთო ბაზრის“ ქვეყნებში, გამოიწვია ხუთი ესპანელი ანტიფაშისტის სიკვდილით დასჯამ და რეპრესიებმა, რომლებიც ამ ქვეყანაში გრძელდება.

X. ფორდის განცხადება

ვაშინგტონი. (საკ.სესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა ტელევიზიით გამოსვლაში ჩამოაყალიბა მთავრობის ახალი ეკონომიური პროგრამა გადასახადით დაბეგვრისა და ფედერალური ხარჯების დარგში.

პრეზიდენტმა აღიარა, რომ მთავრობის საფინანსო პოლიტიკას მოაყვა სულ უფრო მზარდი საგადასახადო ტვირთი ამერიკელებისათვის, ფედერალური ბიუჯეტის რეკორდული დეფიციტები და ინფლაცია. ყველა ეს პრობლემა, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე დაგროვდა, განაცხადა მან, ადვილად ან სწრაფად ვერ გადაჭრება, რამდენადაც მათ ღრმად გაიდგეს ფესვები ამერიკის ეკონომიკაში.

ჯ. ფორდმა წინადადება მისცა კონგრესს შეიმციოს კერძო პირთა გადასახადები, რაც, როგორც აქ აღნიშნავენ, შეესაბამება კომბინატის მოღვაწემ ი. ბარილმა.

მანდინარე ნუკლეარმა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოება, წინასწარი ინფორმაციით, დაასრულებინა 15 — 20 პროცენტით ნაკლებად სუფლიანი ბეგვის დერეფტრეების დასაბული 14 პროცენტის ნაცვლად. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწრაფმა ზრდამ, ნათქვამია მოხსენებაში, ხელი შეუწყო კვების მრეწველობაში დავალებათა გადაჭარბებით შესრულებას.

ფაშისტების ახალი დანაშაული

რომი. (საკ.სესი). აქ თავს დაეხსნენ ჩილეს სამხედრო-ფაშისტური ხუნტის რეჟიმისადმი ოპოზიციის მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს, ყოფილ ვიცე-პრეზიდენტსა და მინისტრს ჩილეს მთელ რიგ მთავრობებში ბერნარდო ლეიტონს და მის ცოლს. ისინი მძიმე მდგომარეობაში გაგზავნეს საავადმყოფოში.

ბერნარდო ლეიტონი, ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელი ჩილეში, ქვეყნიდან გაიხიზნა რამდენიმე თვეში მას შემდეგ, რაც პინოჩეტის ხროვამ ხელში ჩაიგდო ძალაუფლება. ხუნტამ აუკრძალა მას ჩილეში დაბრუნება მისი გამოსვლებისათვის, რომლებშიც იგი გმობდა რეპრესიებსა და ადამიანის უფლებათა დარღვევას ჩილეში. სულ ცოტა ხნის წინათ, გამოვიდა რა პრატაში (იტალია) გამართულ მიტინგზე, მან ხაზი გაუსვა, რომ „ჩილეს მოსახლეობის 80-90 პროცენტი განწყობილია ხუნტის რეჟიმის წინააღმდეგ“, რომელმაც „ეკონომიურ კატასტროფამდე მიიყვანა ქვეყანა“.

აქ აღნიშნავენ, რომ ბოლო დროს ბ. ლეტონს მოსდიოდა წერილები, რომლებშიც სიკვდილით ემუქრებოდნენ, თუ არ შეწყვეტს გმოსვლებს პინოჩეტის რეჟიმის წინააღმდეგ. სახალხო ერთიანობის მთავრობის ყოფილმა ელჩმა იტალიაში კ. ვასლიეტმა განაცხადა, რომ ისინი, ვინც ლეიტონს ესროლა, პირდაპირ ჩილედან ჩამოვიდნენ.

ეცხლოური მოზაიკა

„ავტომდენეტიკი“

ავსტრიაში შექმნეს სპეციალური აპარატი ტაქსისათვის. იგი ტაქსის მრიცხველის ჩართვისთანავე ავტომატურად იღებს მგზავრს. რადიოგადამცემის მეშვეობით სურათი რვა წამში გადაეცემა სადისპეტჩერო პუნქტს. ამავე დროს აღირიცხება ტაქსის ნომერი და სურათის ფოტოგრაფირების დრო. ვენელი ენაკვიმატები ხუმრობენ, „ავტოდეტექტივს“ რისი გაკეთებაც არ შეუძლია, ეს თითის ანაბეჭდის აღებაა. მაგრამ ხელისუფლებას სულაც არ ეხუმრება — ავსტრიაში ამ უკანასკნელ დროს ფართოდ გავრცელდა ტაქსების ძარცვა. „ავტოდეტექტივის“ ხერიოულ წარმოებას აფერხებს მხოლოდ ის, რომ თვითეული ასეთი დანადგარი 50-80 ათასი შილინგი ჯდება, ე. ი. თითქმის იმდენივე, რამდენიც საშუალო კლასის ავტომანქანა.

„ტუპალი“ ესპერანტოს ნაცვლად

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ევროპასა და ამერიკაში მოდაში იყო საერთაშორისო ენა ესპერანტო. მაგრამ ისევე როგორც სხვა ხელოვნურმა ენებმა, ესპერანტომ ფეხი ვერ მოიკიდა. თუმცა ესპერანტისტთა საერთაშორისო ლიგა ახლაც აერთიანებს 80 ქვეყნის ენთუზიასტებს, რომელთა რიცხვი 50 ათას კაცს აღწევს.

ახლა უცხოეთის პრესა ბევრს წერს ახალ „უნივერსალურ ენაზე“, რომელიც ესპანელმა ხუან რამონ პალანკამ „გამოიგონა“. მან თავის გამოგონებას „ტუპალი“ უწოდა. „ტუპალის“ გრამატიკა სულ ოც ფურცელზეა დაწერილი და მისი ლექსიკონი 6 ათას სიტყვას შეიცავს. „ტუპალის“ ავტორი სარეკლამო პროსპექტში თავგამოდებით აქებს თავის ლინგვისტურ საქონელს და დასასრულ ყველა დაინტერესებულ პირს სთხოვს ფული გადაუგზავნონ ვალენსიაში, სადაც ხენიორ პალანკა ცხოვრობს.

მეგობრობის მიტინგი

7 ოქტომბერს მოსკოვის ჩარხსაშენებელ ქარხანა „წითელ პროლეტარში“ გაიმართა მეგობრობის მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საწარმოს მშრომელთა შეხვედრას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის წევრებთან.

მიტინგის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ჰონეკერს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ვ. შტოფს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ჰ. ზინდერმანს, დელეგაციის სხვა წევრებს.

მათთან ერთად იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ო. კატუშევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. კლიჩეევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ხ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პ. ა. აბრასიმოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ნ. ოდიენოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

მიტინგი გახსნა ქარხნის პარტკომის მდივანმა ს. ი. პავლოვმა, რომელიც გულთბილად მიესალმა ძვირფას სტუმრებს.

გამმართველმა ზეინკალმა, კომუნისტური შრომის დამკვრელმა ს. მ. ბაკელოვმა, ქარხნის კომკავშირის კომიტეტის წევრმა ინეზა ერმოლაევამ, ქარხნის დირექტორმა ო. ა. კოროლიოვმა თვითან გამოსულებში თქვეს, რომ დელეგაციასთან შეხვედრა კიდევ ერთხელ ადასტურებს ძმურ მეგობრობასა და მჭიდრო ყოველმხრივ თანამშრომლობას, რაც ორ სახელმწიფოსა და ხალხს შორის არსებობს.

მიტინგზე გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ ქარხნის მუშები ამაყობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებთან მუშავი განვითარებადი კონტაქტებით, გულითადად და გულთბილი ურთიერთობით, რომელიც ქარხანა „წითელ პროლეტარს“, ქარხანა „მარქსსა“ და 7 ოქტომბრის სახელობის კომბინატს შორის დამყარდა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის ვიზიტი საბჭოთა კავშირში, მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ახალი ხელშეკრულების ხელმოწერა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურღვევი მეგობრობის ახალი დადასტურებაა.

მიტინგზე გამოვიდა ვ. შტოფი, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. მან საწარმოს კოლექტივს ძმური საბრძოლო სალამი გადასცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშებისა და ყველა მშრომელისაგან.

თქვენს ქარხანას, განაგრძო ორატორმა, დიდნაწილი ევროპელი შეაქს საბჭოთა ჩარხების წარმოებაში და დიდად პოპულარულია აგრეთვე ჩვენს რესპუბლიკაში. ტექნიკის უახლესი მიღწევების მიხედვით შექმნილი თქვენი ზუსტი ჩარხები, რომლებსაც ჩვენ ვიღებთ, არსებითად უწყობს ხელს ჩვენი სამრეწველო საწარმოებისა და კომბინატების რაციონალიზაციის და რეკონსტრუქციის ფართო ღონისძიებებს, რომელსაც ჩვენ დაჩქარებით ვახორციელებთ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII კრების დროიდან. სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ამ დიდი დახმარებისათვის მთელი გულით ვუძღვნით მადლობას თქვენი ქარხნის მთელ კოლექტივს.

უკვე მრავალი წელია, აღნიშნა შემდეგ ვ. შტოფმა, რაც ჩვენი ქვეყნის მშრომელნი დიდი ყურადღებით და სიმპათიით ადევნებენ თვალს, თუ რა გმირულ ღონისძიებებს ახორციელებს და რა თავდადებით იბრძვის საბჭოთა ხალხი, რომელიც ლენინის სახელოვანი პარტიის ხელმძღვანელობით წყვეტს კომუნისტური მშენებლობის უზარმაზარ ამოცანებს, ყოველდღიურ მუშაობაში ეს ნამდვილი გმირობა საბჭოთა ხალხის დაშახასიათებელი ნიშანია, სოციალისტურ პიროვნებას ახასიათებს. სსრ კავშირის მოქალაქეთა ეს შესანიშნავი საგმირო საქმეები და დამახასიათებელი ნიშნები მისაბაძი გახდა ჩვენი მშრომელებისათვის საკუთარ მოქმედებაში და სოციალისტური მშენებლობისათვის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ჩვენ ვხედავ ნამდვილ ცხოვრების მიერ ათასგზის დადასტურებული ლენინური სასნაფი ქვა, გაანგრძო ვ. შტოფმა. ამიტომ ჩვენ ამაყოფილნი, სიამაყით და დიდი სიხარულით აღსავსენი ვართ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ძმური კავშირი სამუდამოდ დარჩება ურღვევი, ისევე როგორც სამუდამო და საბოლოო სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს რესპუბლიკაში.

დღეს ამზანაგებმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა და ერიხ ჰონეკერმა ხელი მოაწერეს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას, თქვა დასასრულ ვ. შტოფმა. ამ ხელშეკრულებით ჩვენმა ძმურმა კავშირმა ახალ, თვისებრივად უმაღლეს საფეხურს მიაღწია. იგი, მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის მტკიცე საძირკველზე დამყარებული, ასახავს ორივე სახელმწიფოს შორის მეგობრული, ძმური ურთიერთობისა და ურთიერთდახმარების სრულ განვითარებას. ხელშეკრულება თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ ჩვენი კავშირის სისტემატური შემდგომი განვითარება და განმტკიცება შეეხსაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ძირეულ ინტერესებს და ხელს უწყობს სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობის, შეკავშირების განმტკიცებას. (საკ.სესი).

გულისწყრომით გმოგენ

მთელ მსოფლიოში ფართოვდება პროტესტები ფრანკისტული რეჟიმის სიხისლიანი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ. კრებებზე, მიტინგებსა და დემონსტრაციებზე კეთილი ნების ადამიანები გულისწყრომით გმობენ ფრანკისტ ჯალათებს, რომლებმაც სიკვდილით დახჭეს ხუთი ესპანელი ანტიფაშისტი.

პრაღა. პრაღის ქარხანა „ტესლაში“ გაიმართა საპროტესტო მიტინგი, რომელზეც გამოვიდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მდივანი ხუან კამპოსი. მან ფედერაციის სახელით მსოფლიოს მთელ პროგრესულ ძალებს მოუწოდა განამტკიცონ სოლიდარობა ესპანეთის შრომელებთან.

ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო ურთიერთობის საზოგადოების გენერალურმა მდივანმა ე. კლარმა განაცხადა: „იმან, რაც ამას წინათ ესპანეთში მოხდა, გულის სიღრმემდე შეაძრწუნა ყველა პატიოსანი ადამიანი. პატრიოტებს დახვრეტა მხოლოდ ფრანკოს რეჟიმის სისუსტეს ამტკიცებს“.

ბელგრადი. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც გმობს ესპანელი ანტიფაშისტების მხეცურად დახვრეტას. იუგოსლავი კომუნისტების, იუგოსლავიის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის სახელით აღმასკომმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს ესპანეთის დემოკრატიული ძალების სამართლიან ბრძოლას.

ჰელსინკი. ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში სოლიდარობას უცხადებს ესპანეთის კომპარტიის, ესპანეთის მშრომელი ხალხისა და მთელი დემოკრატიული ძალების ბრძოლას თავიანთ ქვეყანაში დემოკრატიული უფლებებისათვის.

ბონი. გერმანელთა კომპარტიის თავმჯდომარემ ჰ. მისმა დიუსელდორფში გამოსვლისას განაცხადა, რომ გერმანელთა კომპარტია გადაჭრით უჭერს მხარს ესპანელ კომუნისტებსა და ყველა დემოკრატს, რომლებიც იბრძვიან ფაშიზმისაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის. წინააღმდეგობა ბის ხუთი მონაწილის დახვრეტა, ხაზი გაუსვა ჰ. მისმა, ძალმომრეობის აქტია, რომელსაც მთელი კაცობრიობა გმობს.

ლისაბონი. ესპანელ ხალხთან სოლიდარობის მიტინგზე გამოსვლისას პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა აურელიუ სანტუშმა განაცხადა, რომ ესპანელი ხალხის ცხოვრებაში ძნელი დრო დადგა. მასთან სოლიდარობის საუკეთესო გამოხატულებაა ბრძოლა დემოკრატიულ თავისუფლებათა დასაცავად. მან გამოთქვა რწმენა, რომ ესპანელი ხალხი დაამარცხებს ძირმომპალ ფრანკისტულ რეჟიმს.

იტალიელთა კრეტესტი

რომი. იტალიის საზოგადოებრიობის პროტესტი და აღშფოთება გამოიწვია ცნობამ ხუთი ესპანელი ანტიფაშისტის დახვრეტის შესახებ. რომში, მილანში, ბოლონიაში, გენუაში, ტურინსა და ათობით სხვა ქალაქში გაიმართა მასობრივი მიტინგები და საპროტესტო დემონსტრაციები ფრანკისტული რეჟიმის სიხსლიანი ტერორის ახალი აქტის წინააღმდეგ.

სურათზე: დემონსტრანტები რომის ქუჩებში.

იუპი-საკ.სესის ფოტო.

ლიბანი მძიმე დღეებს განიცდის. მდელვარება ხან ნელდება, ხან ახალი ძალით იჩენს თავს.

დასავლეთის პრესა, რომელიც მუდამ დიდ ადგილს უთმობდა და უთმობს ლიბანის ამბებს, ქვეყანაში შექმნილ კრიზისს მხოლოდ ქვეყნის ცხოვრებაში პალესტინელთა როლით ხსნის.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ აპრილის შეტაკებებამდე, 25 მარტს „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ფურცლებზე ქურნალ „ნიუ-რიპაბლიკის“ უცხოეთის განყოფილების რედაქტორი სტენლი კარნოუ წერდა: „პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მოქმედებით ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა რაიონში გამოწვეულ მღელვარებას შეუძლია კონფლიქტების მთელ სერიაში ჩაითრიოს ეს რაიონი, რაც საბოლოო ანგარიშით საფრთხეს შეუქმნიდა ისრაელის უშიშროებას“. კარნოუ „თეზისი“ ორიგინალურობით არ გამოირჩევა, უკვე რამდენიმე წელია, რაც ისრაელის მთავრობა დაჟინებით ცდილობს დაარწმუნოს მსოფლიო საზოგადოებრიობა, რომ პალესტინელ ლტოლვილთა წმენდობაანი ბანაკები ლიბანის ტერიტორიაზე (როგორც ცნობილია, ბანაკების მოსახლეობის უმრავლესობას ქალები, ბავშვები და მოხუცები შეადგენენ), „მომაკვდინებელ საფრთხეს“ უქმნიან ისრაელს და ამიტომ იგი თითქოს „იძულებულია საკუთარი თავდაცვის მიზნით“ დაბომბოს და მიწასთან გაასწოროს ლიბანის სამხრეთი პროვინციები.

სინამდვილეში კი ვითარებას აწყვეტს კარგად ორგანიზებული და შეიარაღებული „მეხუთე კოლონა“ ქვეყნის მემარჯვენე ძალების სახით, რომლებიც დარაზმული არიან ფალანგისტთა ან, როგორც ჩვეულებრივ უწოდებენ, კატაბის პარტიის ირგვლივ (კატაბი ნიშნავს „განმათავისუფლებელს“). ნახევრად გასამხედროებულ, ფაშისტურ ორგანიზაციას კატაბის, რომელიც უპირატესად ქრისტიანი მარონიტებისაგან შედგება, ლიბანში ისევ ფართო და კარგად შეიარაღებული ერძოო არმია ჰყავს, რომელიც 6000 ჯარისკაცს ითვლის. ის დაკავშირებულია როგორც აგენტურით, ისე საერთაშორისო მსხვილი კაპიტალთან და ამ უკანასკნელის კარნახით იბრძვის ლიბანიდან პალესტინელთა გაძევებისათვის. ამავე დროს ლიბანის მმართველ წრეებს აშფოთებთ არაბულ სახელმწიფოთა ანტიფალანგისტური პოზიცია, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს არაბულ ქვეყნებთან ლიბანის ეკონომიურ კონტაქტებზე. ამ უკანასკნელს კი ქვეყნის ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ახლო აღმოსავლეთის ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში 140 ათასი ლიბანელი მუშაობს. ლიბანი ტრანზიტისა და სხვა მომსახურების გზით ყოველწლიურად 1 მილიარდ ლიბანურ გირვანქა მოგებას იღებს. არაბულ სახელმწიფოთა ყოფილიყო. მართალია, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია პრინციპულად არ ერევა ლიბანის სამინაო პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ იგი ქვეყნის პროგრესული ძალების ბუნებრივი მოკავშირის როლში გამოდის. პალესტინელთა ყოფნა ლიბანში თავისთავად აბრკოლებს ლიბანის დაახლოებას აშშ-თან. ლიბანში არ მოიპოვება ნავთობი და ამ ნიადაგზე აქ გამორიცხულია ნებისმიერი კონფრონტაცია საერთაშორისო იმპერიალიზმთან და უწინარეს ყოვლისა, აშშ-თან. ლიბანი არის ერთადერთი ადგილი, სადაც ერაბი ერაბს ესაუბრება, ეს ერთადერთი ადგილი, სადაც ერაბ ებრაელს ესაუბრება, ეს ერთადერთი ადგილი, სადაც ებრაელ ებრაელს ესაუბრება. ეს ერთადერთი ადგილი, სადაც ებრაელ ებრაელ ებრაელ

ვაჟკაცობა, მამაცობა, კეთილშობილება

მაღალი ოსტატობა

ოცეულის ავიატორმა სერჟანტმა ივთანდილ ქორჩილავამ თავისი მორიგი საუბარი მიუძღვნა თემას „ცხოვრებაში გმირობის ჩადენა ყოველთვის შეიძლება“. თავისი ნაამბობი მან კონკრეტული მაგალითებით შეავსო.

...ნ-ის ესკადრილიის სამზედრო შფრინავმა **ი. სკორობოგატოვმა**, როცა წარმატებით შესრულა მაღლივი სამიზნის ხელში ჩაგდების ამოცანა, ბრძანება მიიღო აეროდრომზე დაბრუნებულიყო. უცებ პილოტმა შეინიშნა, რომ მწყობრიდან გამოსულიყო ერთ-ერთი სისტემა. ეკიპაჟის მეთაურმა, რომელიც აუჩქარებლად, საზრიანად მოქმედებდა, ფრენის ხელმძღვანელს მომხდარი ამბავი შეატყობინა. მან გამოიჩინა მაღალი ოსტატობა და მშვიდობით დასვა თვითმფრინავი.

ოლქის ავიაციის სარდალმა მაღალი შეფასება მისცა ავიატორის ვაჟკაცობას, ფრენის ოსტატობას და სახელდებული საათით დაჯილდოვა.

მეომრის სიცოცხლე იხსნეს

ეფრეიტორ ა. კორნიენკოს სამზარეულოში ნათურის გამოცლა დასჭირდა. სამზარეულოს იატაკი და მეომრის ჩექმები სულ სველი იყო. ელექტრომასრა კი გაუმართავი გამოდგა. მაგრამ სიბნელეში ეფრეიტორმა ეს ვერ შენიშნა და როცა ნათურის მოხსნა იწყო, დენმა დაჰკრა და გონება დაკარგა. ა. კორნიენკოს არ ახსოვს თუ რამდენ ხანს იწვა იატაკზე და რა მოუვიდა მას. რამდენიმე ხნის შემდეგ მეომარმა იგრძნო თავში სისხლის მოწოლა და ძლიერი დარტყმები მკერდის არეში. ვიღაც გულის მასაჟს უკეთებდა. მან თვალი გაახილა. მაგრამ ირგვლივ ყველაფერს ბუნდოვნად ხედავდა. შემდეგ ყველაფერი მოაგონდა, მხოლოდ დიდ სისუსტესა და დაღლილობას გრძნობდა.

— ახლა ყველაფერი კარგად არის, დაისვენე, — მოესმა მას სამედიცინო სამსახურის კაპიტნის ა. კურეპინის ნაცნობი ხმა.

მეომრის სიცოცხლისათვის საშიშ ტყის **არ დაბნეულან** არც ა. კურეპინი, არც ა. **კორნიენკოს** ამხანაგები, რივნთი ჯარისკაცები ი. უუფუნია, პ. კოროვინი და სხვები, რომლებიც იქვე გვერდით იმყოფებოდნენ. ისინი დიდხანს და შეუპოვრად იბრძოდნენ ამხანაგის გადასარჩენად.

(საქინფორმი).

მსჯელობენ მეცნიერი კრიმინალისტები

სამი დღე კრიმინალისტთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე პოლონეთში

ვარშავის მახლობლად თვალწარმტაც ადგილას — პოპოვოში გაიმართა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის აქტუალურ პრობლემებს მიეძღვნა. მისი ორგანიზატორები იყვნენ ვარშავის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის ინსტიტუტის და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამოსამართლო სამართლის გამოკვლევათა ინსტიტუტი. საბჭოთა დელეგაციაში შემავალ ცხრა მეცნიერ კრიმინალისტს შორის იყვნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი თინათინ წერეთელი (დელეგაციის ხელმძღვანელი) და ამ სტრიქონების ავტორი.

სიმპოზიუმზე **ოთხი** სპეციალური და ერთი ზოგადი ხასიათის თემა განიხილეს, ერთ-ერთი იყო „თავისუფლების აღკვეთასთან დაუკავშირებელი სასჯელები“, რომელმაც სიმპოზიუმზე ცხოველი ინტერესი გამოიწვია, რადგან სოციალისტური ქვეყნების მართლმსაჯულებისათვის, სასჯელთა ეფექტიანობის ამაღლებასთან ერთად, ძირითად ამოცანას წარმოადგენს მათი შემდგომი ჰუმანიზაცია. ამ მიმართულებით გზების ძიებაზე სიმპოზიუმზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. მეცნიერებმა ერთხმად მოიწონეს საბჭოთა კავშირის, პოლონეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის საკანონმდებლო გამოცდილება და სოციალისტური სისხლის სამართლის მნიშვნელოვან მიმართულებად კვლავაც დასახეს თავისუფლების აღკვეთის სფეროს შემდგომი შეკვეცრობა ისეთ სასჯელთა შემოღების ხარჯზე, რომლებიც თავიდან წყალსწინებენ თავისუფლების შეზღუდვას საზოგადოებრივ ზემოქმედებასთან და იძულებით აღზრდასთან შეხამებით.

საინტერესო და ნაყოფიერი გამოდგა სჯა-ბაასი მეორე თემაზე, რომელიც ავტოსატრანსპორტო დანაშაულობებს მიეძღვნა. სიმპოზიუმზე დიდი მსჯელობა გაიმართა იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა დასჯის კანონმდებლო სისტემა, ფორმები და მეთოდები. სიმპოზიუმის მონაწილენი ცხოველი ინტერესით გამოეხმაურნენ პროფესორ თ. წერეთლის გამოსვლას იმ საკანონმდებლო გამოცდილების თაობაზე, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას აქვს ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა დასჯის საქმეში, აგრეთვე ცნობას ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში წარმოებული კვლევა-ძიების უახლეს შედეგებზე.

ბოლო დროის კონკრეტულ-სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ დანაშაულის ხელშემწყობ პირობათა შორის ზოგჯერ მნიშვნელოვან როლს ასრულებს თვითონ დაზარალებული პირის ქცევაც. როგორც დამოუკიდებელი კრიმინოგენური ფაქტორი, იგი საგანგებო კვლევა-ძიების საგანიც კი გახდა. წარმოებული კვლევის ცალკე მიმართულება — ვიქტიმოლოგია, ანუ მოძღვრება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ. ვიქტიმოლოგთა ერთი საერთაშორისო კონგრესი უკვე შედგა. მეორე კონგრესი ამ შემოდგომაზე უნდა გაიმართოს საფრანგეთის ქალაქ ბორდოში. სიმპოზიუმზე ვიქტიმოლოგიის საკითხების განხილვა იყო ერთგვარი შემზადება და შემოწმება ზოგადმეთოდოლოგიური თუ საკუთრივ მეცნიერული პოზიციებისა, რომლებიც სოციალისტური ქვეყნების კრიმინალისტებმა და კრიმინოლოგებმა უნდა დაიკავონ მეცნიერთა მომავალ დიდ ფორუმზე.

„კრიმინოლოგია როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი“ — ასეთი იყო სიმპოზიუმის მეოთხე თემა. მონაწილეებმა ბევრი იკამათეს იმაზე, თუ როგორია ან როგორი უნდა იყოს საზღვრები კრიმინოლოგიისა და სხვა მომიჯნავე დარგებს შორის.

დელეგატები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ სიმპოზიუმმა ნაყოფიერი მუშაობა გასწია. ამას დიდად შეუწყო ხელი ორიგინალურმა ფორმამ, რომლითაც იგი წარიმართა. სიმპოზიუმზე არ წაკითხულა მოხსენებები, იგი ჩატარდა ე. წ. პანელის სისტემით, რომლის დროს მონაწილენი (ყოველ თემას თავისი პანელი დაეთმო) უშუალოდ ებმებოდნენ ცხარე კამათში შესაბამისი თემის ორგანიზ ერთ-ერთ შედგენილ და პანელის მონაწილეთათვის დაგზავნილ კითხვებზე. ეს სისტემა მეცნიერებს განსაკუთრებულ განსწავლულობასა და პოლემისტურ უნარს მოითხოვს, რადგან კამათის პროცესში მოულოდნელად წამოიჭრება ხოლმე ახალი საკითხები, რომლებიც თავიდან გათვალისწინებული არ ყოფილა. საკმაოდ შეზღუდული იყო სიმპოზიუმის მონაწილეთა რაოდენობაც. სიმპოზიუმის ასეთმა ფორმამ ბუნებრივად განსაზღვრა მისი მონაწილეების მაღალი აქტივობა. აზრთა თავისუფალ გაცვლა-გამოცვლას ისიც უწყობდა ხელს, რომ სიმპოზიუმის მუშაობა ერთ ენაზე — რუსულად წარიმართა.

პოლონეთის იუსტიციის სამინისტრომ და ვარშავის უნივერსიტეტის რექტორატმა პოპოვოსა და ვარშავის სტუმრებს დარბაზობა მოუწყეს: უნივერსიტეტის დარბაზობა მოეწყო სახელგანთქმულ „ოქროს დარბაზში“, სადაც მასპინძელი ქვეყნის სახელით დელეგატებს მიესალმა უნივერსიტეტის პროორექტორი, ცნობილი მეცნიერი ეკონომისტი სოფია მორეცკა, სტუმარი ქვეყნების დელეგაციების სახელით კი მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი თინათინ წერეთელი.

სიმპოზიუმმა ახალი ამოცანები დასახა სისხლის სამართლის მეცნიერების წინაშე, ხელი შეუწყო საქმიანი და პირადი კონტაქტების განმტკიცებას მსმენი მონაწილე სოციალისტური ქვეყნების მეცნიერ იურისტთა შორის.

მ. უგრეხელიძე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

საქართველოს რაიონებში

ცაგერი

გვეტყოველინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

„ცისფერი ეკრანი“ მთაში

ხვამლის მთაზე, ზღვის დონიდან 1.600 მეტრ სიმაღლეზე, აშენებენ პასიურ ტელერეტრანსლატორს, რომელიც სიგნალს მიიწვდის ცაგერის ტელესარეელო სადგურს. მალე რაიონის მოსახლეობა მაღალხარისხოვან ცენტრალურ ტელეგადაცემებს მიიღებს.

დიდი სამუშაოები მიმდინარეობს გვესანის მთაზე მდებარე სატელევიზიო სადგურის ტერიტორიაზე. აქ მონტაჟდება ორი ახალი ლითონის ანძა და ახალი სარეელო აპარატი. სადგურის შენობის ერთ ოთახში ყურადღებას იპყრობს ფრანგული რადიოსარეელო მოწყობილობა, რომელიც გამოყოფილ სიგნალს მესტიის მიმართულებით გაგზავნის. სულ მალე მთიანი ლეჩხუმისა და სვანეთის სოფლები მთლიანად ტელევიზებული იქნება.

ავტომატური სატელეფონო სადგურები

რაიონში სულ უფრო დიდდება ავტომატური სატელეფონო სადგურების რიცხვი. ახლა მაღალმთიან სოფლებში ექვსი ასეთი სადგურია. ცაგერი სასოფლო საბჭო და კავშირგაბმულობის კვანძის ამდენივე განყოფილება, როგორც ურთიერთთან, ისე რაიონულ ცენტრთან ავტომატური ტელეფონებით არის დაკავშირებული.

ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სოფელ ჩხუტელის სატელეფონიზაციო სამუშაოები. ახლო მომავალში სოფლის ყველა აბონენტი რაიონული ცენტრის ავტომატური ტელეფონის სადგურის ქსელში ჩაირთვება. გთვალისწინებულია ჩხუტელის კოლმეურნეობის 130 ოჯახის ტელეფონიზაცია. მალე სოფელ ტვიშში დაიწყება 150-ნომრიანი სადგურის მშენებლობა.

საშვილიშვილო საქმე

შორს გაითქვა სახელი ძუღურის უნიკალურმა მინერალურმა წყალმა. იგი საუკეთესო სამკურნალო საშუალებაა კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, საშარდე ორგანოების სამკურნალოდ. წყალი კარგად უხდება აგრეთვე სისხლნაკლებობითა და დიაბეტით დაავადებულ ავადმყოფებს. ძუღური ბევრად უფრო მდიდარია ადამიანისათვის სასარგებლო მინერალური შენაზავებით, ვიდრე ტრუსკავეციის საქვეყნოდ ცნობილი წყალი.

ახლა მდინარე ძუღურის ხეობაში დიდი სამუშაოები მიმდინარეობს წყაროსთან მისასვლელი საავტომობილო გზის მისაყვანად. მშენებელთა ბრიგადები მეტად რთულ პირობებში უტევენ მთებს, უღრან ტყეებს და საშიშ მეწყერებს. მათ უკვე თითქმის დაძლიეს ათკილომეტრიანი გზის ურთულესი ტრასა. ახლა მიმდინარეობს გზის ვაკისის მოხრეშვა. რაიონის მშრომელებს გადაწყვეტილი აქვთ ეს საშვილიშვილო საქმე რაც შეიძლება მალე დაამთავრონ. შორს არ არის ის დრო, როცა ძუღური მთლიანად ჩადგება ხალხის სამსახურში.

ახალი სასაუზმე-პავილიონი

კარბი საჩუქარი მიიღეს ლაილაშელმა მშრომელებმა. სოფლის ცენტრში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სასაუზმე-პავილიონი. იგი კარგ მომსახურებას უწევს კოლმეურნე გლეხობასა და სოფლის ინტელიგენციას.

ვ. ციბრეკიძე.

ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

სადაც დიდებულს მთასა...

საბაგირო გზა — ყაზბეგი-სამება





ხუთწლედის ბოლოსათვის მოხვეული ახალ საჩუქარს მიიღებენ. დასასრულს უახლოვდება საბაგირო გზის მშენებლობა, რომელიც დაბა ყაზბეგს სამების მთასთან უახლოესი და ლამაზი გზით დააკავშირებს.

სამი ამწის გუგუნი ერთმანეთს უერთდება და მთების სიმყუდროვეს არღვევს. ნელა ტრიალებს უზარმაზარი კოჯი, რომელზეც საბაგირო გზის 26-ტონიანი მავთულია დახვეული. მავთული პირველად ქვესადგურის ბაურდენზე მიცოცავს, თორგს თავს გადაევლება, სოფელ გერგეტში მეორე საყრდენს რომ გასცდეს, გეზს სამების მთისაკენ იღებს. ერთი მავთული უკვე აიტანეს მშენებლებმა სამების სადგურში. ახლა მეორე მიაქვთ. ხუთ წუთში 12 ადამიანი ავა სამების მთაზე საბაგირო გზით. აქ აღმართულია საქართველოს მთიანეთში აგებული ერთ-ერთი დიდი ხუროთმოძღვრული ძეგლი — სამება, რომელიც თავის დროზე მცხეთის სვეტიცხოვლის სამკაულთა „სახიზარი“ და ხევის უმთავრესი საკულტო ნაგებობა ყოფილა.

საბაგირო გზა ასევე დიდ მომსახურებას გაუწევს საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგურის ბინადართ, რომელიც მყინვარწვერის კალთაზეა აშენებული.

საქმე ძალზე სასწრაფოა. დარიალის ხეობიდან რომ „ქვიალმა“ შემოიჭრება, ხევში აცოცდება. ერთი წვიმაც, და მთის წყლები გადათეთრდება.

მთელი გულმოდგინეობით მუშაობს ტრესტ „სოიუზლიფტმონტაჟის“ ამერკავკასიის სამმართველოს მემონტაჟეთა ბრიგადა, რომელსაც გამოცდილი სპეციალისტები ხ. კაზალიკაშვილი და ა. გიორგობიანი ხელმძღვანელობენ. მათ ამ ზაფხულს დამონტაჟეს ორი ორმოცი მეტრის სიმაღლის ლითონის საყრდენი. ზედა სადგურში აიყვანეს ელექტროენერგია და სადგურებში დასამონტაჟებელი დანადგარები.

ამჟამად ყველაზე მეტად საჭიროა სადგურების მშენებლებმა დაამთავრონ სამუშაოები, რომ მავთულები გაიჭიმოს. საბაგირო გზის სიგრძე 1.950 მეტრია.

მედეა ღუდუშაური.

სურათებზე: (მარცხნიდან) წინა პლანზე — ქვესადგურის საყრდენი, გაღმა მოჩანს სამების მთა; მარჯვნივ — ზედა სადგურის მშენებლობა.

3. წიკლაურის ფოტო.

ᲡᲮᲕᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ტელეფონი ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში

ბევრ ადგილას ერთ-ერთ შეუცვლელ თანამგზავრად ტელეფონის აპარატს მისი შექმნიდან წელს ასი წელიწადი უსრულდება. ამერიკელი ალექსანდრ ბელის გამოგონებული ეს აპარატი თანამედროვეებმა აღფრთოვანებით მიიღეს. „ეს უდიდესი საოცრებაა დაკავშირებული ელექტრულ ტელეგრაფთან“, — წერდა გამოჩენილი ინგლისელი ფიზიკოსი ლორდ კელვინი, რომელიც იყო მთელი რიგ გამოგონებათა ავტორი ელექტროტექნიკის დარგში.

ამ შესანიშნავი გამოგონების ისტორია, როგორც სხვა ბევრისა, ინტერესს მოკლებული როდია. იგი ვერ გადაურჩა „ბედნიერ შემთხვევებს“ და სასამართლო პროცესებს...

1875 წლის ზაფხულში ბელი სულ სხვა ამოცანის გადაწყვეტაზე მუშაობდა. მას უნდოდა შექმნა მოწყობილობა იმ დროისათვის უკვე ცნობილი ტელეგრაფისათვის, რომელსაც ერთი მავთულის საშუალებით რამდენიმე ცნობა უნდა გადაეცა. დაგვიანებული ეპარატის გამოცდის დღეც. მას ჰქონდა ლითონის თხელი ფირფიტები, რომლებიც კონტაქტების მაგივრობას ასრულებდნენ. ვიბრირებისას ისინი თიშავდნენ ელექტროწრეს. ბელმა მოულოდნელად შეამჩნია. რომ ამ ფირფიტების შეეძლოთ ხმისის გადაცემა, საკმარისი იყო გადაეცვალა აპარატის ფირფიტებზე შეხება, რომ იგი აყალიბებოდა, ხოლო მეორე ფირფიტა მიმღებ აპარატში ბანს აძლევდა მას.

ბელმა შეიგნო აღმოჩენის მნიშვნელობა და იმ წუთშივე დაიწყო ამ საინტერესო იდეის განხორციელება — მავთულითა გადაეცათ არა მორზეს ანბანის წერტილ-ტირეები, არამედ ცოცხალი ადამიანის ლაპარაკი. გავიდა რამდენიმე თვე და იმავე 1875 წლს სატატენტო ბიუროში შემოვიდა ბელის განაცხადი ტელეფონის გამოგონებაზე.

ბელი ზეიმობდა. მის მიერ კონსტრუირებული აპარატით რამდენიმე კილომეტრზე იყო შესაძლებელი ლაპარაკი. ბელმა გვიან გაიგო, რომ უჩვეულო დამთხვევის მსხვერპლი ხდება: იმავე დღეს ორი საათის შემდეგ ასეთსავე გამოგონებაზე სატატენტო ბიუროში მეორე განაცხადი შევიდა. მისი ავტორი იყო ე. გრეი. ამან შემდეგში 600 (!) სასამართლო გარჩევა გამოიწვია, რათა დადგინათ, თუ ვინ იყო ჭეშმარიტი ავტორი. ბელმა ყველა პროცესზე მოიგო.

ბელის გამოგონებას, რასაკვირველია, სრულყოფა ესაჭიროებოდა. როგორც ედისონი ამბობდა: „ძნელი არ არის გააკეთო არაჩვეულებრივი აღმოჩენა — ძნელია სრულყო მოდენად, რომ პრაქტიკული მნიშვნელობა მიიღოს“. უნდა ითქვას, რომ ტელეფონს ამ შემთხვევაშიც გაუმართლდა: მსოფლიოს ათასობით უნიჭიერესი გამომგონებელი იღვწოდა იმისათვის, რომ გაეუმჯობესებინათ ადამიანთა ურთიერთკავშირის ახალი საშუალება.

ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს რუსმა ოსტატებმაც. გამომგონებელმა მ. მახალსკიმ და პ. გოლუბიცკიმ წინადადება წამოაყენეს, რათა ტელეფონის აპარატში გამოყენებინათ ნახშირის ფხვნილი, რამაც მემბრანასთან კავშირში აპარატის მგრძნობიარეა გააძლიერა და მკვეთრად გაიზარდა ტელეფონით ლაპარაკის ნაძალი. 1887 წელს კ. ფოსტიჩკიმ გააკეთა პირველი საატელეფონო ავტომატური კომუტატორი, ხოლო შვიდი წლის შემდეგ ს. პოსტელოვმა უკვე შექმნა 10 ათასნომრიანი ავტომატური სადგური. ატა-ის სანაბიჯო სისტემის შემქმნელად, რომელიც დღესაც მიღებულია, იყო აგრეთვე ს. ბერდიჩევსკი. ამასაც, „ულანტარული“ შესაძლებლობები მიიღო ტელეფონმა მას შემდეგ, რაც გაჩნდა რადიო. რადიოტელეფონისათვის ახლა შესაძლებელი გახდა უდიდესი მანძილების დაძლევა კონტინენტებსა და ოკეანეებს შორის.

საინტერესოა აგრეთვე გავიხსენოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე პირველი საატელეფონო კავშირი 1881 წლის ივნისში ნიჟნი ნოვგოროდში დაარსდა. ტელეფონის ორ აპარატს შორის მანძილი კილომეტრნახევარი იყო, ხოლო ოთხი წლის შემდეგ შეეძლოთ მოსკოვში დაგვრეკათ კოლომნიდან, პოდოლსკიდან, სერპუხოვიდან.

გადიოდა წლები. ახალმა სამეცნიერო აღმოჩენებმა, ტექნიკის ენთუზიასტებმა საატელეფონო კავშირის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. ასე, მაგალითად, გასული ომის წლებში იაპონელმა ინჟინერებმა ტელეფონისათვის შექმნეს კონდენსატორული მიკროფონი, რომლითაც სარგებლობდნენ ეგრეთწოდებული ელექტრეტები — მუდმივი ელექტრიზაციის ნივთიერებანი. ელექტრეტული მიკროფონები შედარებით მარტივი არიან. ჩვენთვის ახლა ჩვეულებრივი გახდა საქალაქთაშორისო რადიოტელეფონით ლაპარაკი. ტელეფონი — კაციობრობის გენიის ერთ-ერთი შესანიშნავი ნაყოფი — დიდი ხანია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განუყოფელი ნაწილი გახდა.

...სხვადასხვანაირად აღნიშნავენ ადამიანის დაბადებას მეცნიერებასა და ტექნიკაში. იმ დღეს, როცა გარდაიცვალა ტელეფონის შემქმნელი ალექსანდრ ბელი, მის სამშობლოში წუთით გამოთიშეს ტელეფონის ყველა აპარატი, რომელთა რიცხვი იმ დროს, ეს კი 1922 წელს იყო, უკვე ცამეტ მილიონს შეადგენდა.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲢᲐᲜᲒᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ

ლონდონში, „მსოფლიოს თასზე“...

27-29 ოქტომბერს ლონდონში ტანგარჯიშის ისტორიაში პირველად გაიმართება მსოფლიოს პირადი ჩემპიონატი, რომელმაც ოფიციალური სახელწოდება მიიღო — „მსოფლიოს თასი“. ისევე, როგორც ოლიმპიური თამაშობი და მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში, იგი ოთხ წელიწადში ერთხელ გაიმართება. საინტერესოა, რომ ტანგარჯიშის ბევრი ეროვნული ფედერაცია მოითხოვს ამ ასპარეზობის გამართვას ყოველწლიურად, რაც, ცხადია, უფრო სწორი იქნებოდა.

„მსოფლიოს თასში“ საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობას მიიღებენ: ქალებში — ოლიმპიური თამაშობის აბსოლუტური ჩემპიონი **ლიუდმილა ტურიშჩევა** (როსტოვი), ოლიმპიური ჩემპიონი **ოლგა კორბუტი** (ვროდნო), ოლიმპიური ჩემპიონი გუნდურ ასპარეზობაში **ელვირა საადი** (მოსკოვი), მსოფლიოს ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში **ნინო დრონოვა** (თბილისი), **ლიდია გორბიკი** (მინსკი) და **ოლგა კოვალი** (ლენინგრადი), ვაჟებში — ოლიმპიური ჩემპიონი **ნიკოლოზ ანდრიანოვი** (ვლადიმირი), **პაატა შამუგია** (თბილისი), **ვლადიმერ საფრონოვი** (ლვოვი) და **ალექსანდრე დიტიატინი** (ლენინგრადი).

„სპორტლოტო“

„სპორტლოტო“: 13 (წყალ-სათხილამურო სპორტი), 41 (ნოგბურთი), 7 (ბიატლონი), 5 (ბადმინტონი), 37 (სროლა), 38 (მშვილდოსნობა).

„სპორტლოტო-2“: 23 (მძლეოსნობა), 48 (ჭიდრაკი), 10 (ბუერი), 45 (ფეხბურთი), 13 (წყალ-სათხილამურო სპორტი), 40 (ტურიზმი).

(საკადესი).

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘ

ᲠᲣᲒᲑᲘᲡ ᲩᲔᲛᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. საერთაშორისო ტურნირი და მატჩი ელით წლეულს საბჭოთა ჰოკეისტებს.

ნოემბრის მეორე ნახევარში ჩვენი ქვეყნის პირველი ნაკრები პრაღაში ორჯერ შეხვდება ჩეხოსლოვაკიის გუნდს. ერთმანეთთან ისპარეზებენ აგრეთვე საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი ახალგაზრდული გუნდები: 10 ნოემბერს — მოსკოვში და 12 ნოემბერს — ვოსკრესენსკში.

საკავშირო იუნიორთა ნაკრები 15 და 16 ნოემბერს ფინეთში შეხვდება ადგილობრივ თანატოლებს. ამავე რიცხვებში საბჭოთა ჭაბუკების ნაკრები ლენინგრადში უმასპინძლებს ჩეხოსლოვაკელ ჭაბუკებს.

დეკემბერში მოსკოვში გაიმართება ტრადიციული პოპულარული ტურნირი გაზეთ „იზვესტიის“ პრიზზე.

წლის ბოლოს ჩვენი საუკეთესო კლუბები გაემგზავრებიან ტურნირში საზღვარგარეთ: ცსკა და „კრილია სოვეტოვი“ — აშშ-სა და კანადაში, სადაც შეხვდებიან ეროვნული ჰოკეის ლიგის პროფესიონალურ გუნდებს, ვოსკრესენსკის „ხიმიკი“ — კანადაში, ხოლო მოსკოვის „დინამო“ — შვეიცარიაში, „აპერნოს თასის“ გათამაშებაზე.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ

მფრინავმა გალინა როსტორგუევამ და შტურმანმა ლიუდმილა პოლიანსკაიამ მსოფლიოს რეკორდების მთელი სერია დაამყარეს მ. ლ. მილის სახელობის საკონსტრუქტორო ბიუროში შექმნილი „ა-10“ ვერტმფრინავით. პირველად ისტორიაში ვერტმფრინავმა, რომელსაც ქალები მართავდნენ, მიაღწია საათში 341,35 კილომეტრ სიჩქარეს 15-25 კილომეტრ ბაზაზე, დაამყარა ასვლის სიჩქარის რეკორდები — 3 ათას მეტრზე 2 წუთი და 34 წამი, 6 კილომეტრზე — 7 წუთი და 44,5 წამი.

წრიული 100-კილომეტრიანი მარშრუტით „ა-10“ ვერტმფრინავის სიჩქარემ (პილოტი ვ. როსტორგუევა) შეადგინა 334,464 კილომეტრსაათი. გადაჭარბებულია მსოფლიოს მიღწევა, რომელიც 1965 წელს დაამყარა ცნობილმა საბჭოთა მფრინავმა ქალმა ტ. რუსიანმა.



სურათზე: თბილისის ოფიცერთა სახლის დარბაზში მორიგი ტურის დროს.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

სამი ლიდერი

ქალთა საკავშირო ჩემპიონატზე ფრუნზეში გაიმართა 4 ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრება. ლიტინსკაია თამაშის განუახლებლად დანებდა ტიტორენკოს, გურიელი — შნეერმანს. აგრეთვე თამაშის განუახლებლად აყიმზე შეთანხმდნენ საუნინა და ახმილოვსკაია. ჩიბურდანიძე გაიცინო ახმილოვსკაიას ჩაწერილ სვლას და... დანებდა. საუნინამ დაამარცხა ბელავენეცი, ფომინამ — მედინიოკოვა, ბელოვამ — ზატულოვსკაია. გურიელი-ფატალიბეკოვას, გრინფელდ-კოზლოვსკაიასა და ფატალიბეკოვა-კოლტოლის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ოთხი ტურის შემდეგ გრინფელდს, ფომინასა და ზჩერბინას სამ-სამი ქულა აქვთ, ჩიბურდანიძეს — 2, გურიელს — ერთი.

ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ ᲒᲣᲤᲔᲚᲓᲘ

პირველი ლიგის მოჭადრაკეთა საკავშირო ჩემპიონატზე კიშინიოვში 5 ტურის შემდეგ პირველ ადგილზეა დიდოსტატი გუფელდი (თბილისი), რომელმაც 3,5 ქულა მოიგოდა. თბილისელმა მოჭადრაკემ მოიგო 2 პარტია, 3 კი ყაიმით დაამთავრა.

ᲚᲐᲠᲡᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲐ

მანილის საერთაშორისო ტურნირზე გათამაშდა 6 ტური.

ექვსმე ტურში პოლუგაევსკი ისეთნაირად ლიუბოვიჩმა მოუგო პფელეგერს, ფილიპინელმა ოსტატმა ბალინასმა კი სენსაციური გამარჯვება მოიპოვა ლარსენთან.

6 ტურის შემდეგ 4,5 ქულით პირველ ადგილზეა ლიუბოვიჩი (იუგოსლავია), მას ერთი ქულით ჩამორჩებიან პოლუგაევსკი და ბალინასი.

ᲨᲐᲨᲚᲘᲡ ᲩᲔᲛᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘ

ᲑᲣᲜᲔᲑᲘ თბილისში პროფკავშირების საკავშირო ჩემპიონატზე გათამაშდა უკანასკნელი წინა, მეთოთხმეტე ტური.

კულიკოვამ მნიშვნელოვანი პარტია მოუგო მულენკოს, ამასობაში კი იოსელიანი ყაიმს დასჯერდა გოლოვეისთან.

წარმატებით ითამაშეს მოჭადრაკეებმა, რომლებიც ყველაზე ადგილზე მისდევენ ლიდერებს: ალბრიშვილმა მოუგო ბელოვას, ხაიცევამ — აკოფიანს, პოპოვო